

მშენებელი პატრიარქი

იუმორის გ.
ჟურნალი

№ 6



ფილ-

ქართველ-სომეხთა გასართობი.

აღმზრდელი.

მე, აღზრდის საქმეში,
სხვა პრინციპს ვატარებ:

ამიტყდა ხელები
და მუცლის გვრემაცა;
ცივს ოფლში შევსტურდი
სისხლ განაცივები..

ან უკეთ ვინ გაწრთენის
უგუნურ ბალებსა!?.
მრისხანე მათ სახეს,
მათ უღომობელობას
სავსებით ვაბარებ
ამ დიად ხელობას...

მაგრამ... თუ იპათაც
ეუჩრნენ შვილები,
მე სხვაც მაქვს იპათი
დასამორჩილები.
ჩავამწყვდევ ბნელეთში,
მზის სხივი ვერ ნახოს
და ისე გახდება
ვით კრავი გენახოს.
დასქენება სევდისგან
ლადი, გულ ზვიადი
კარცერში ჩამჯდარი
ყრმა დანაწყვედიადი.

ვიღწოდი ამ რიგათ
დღეცა და ღამეცა...
შევხედოთ... ერთ დილას

მოვიხმე შვილები
(არ მონაფერები)
და შევლას მოველი
გულ ანაძგერები.
მოვიდენ...
შემოკრბენ
ჩემს ირგვლივ მწყკრივადა
და მქვრეტენ...
მომაკვდავს...
შორით, გულ ცივად.
— ჰეი! რას დამღარხართ?
რას უცდით შვილებო?
თუ მშველით... დროითი
თქვე დალოცვილებო!!!
ისინი კვლავ სდგანან
ვით ქვითა ნაკვეთნი
და კრინტსაც არ სძრავენ
იმათგან არც ერთნი.
— არ გესმით, ბიჭებო?
ხმას რატომ არ იღებთ?

რისთვის არ მოდიხართ,
 ტახტთან არ წამიღებთ?
 — გიშველით...
 მაგრამ შენ
 ნაცვლად რას გვპირდები?
 ფეხზე რო წამოდგე
 კვლავ აგვიხირდები?!
 კვლავ ივლი
 ძველი გზით
 თუ დაჰგმობ ამასა
 და ისე მოგვხედავ
 ვით შეჰფერს მამასა:
 აღერსით დაგვათრობ
 და სიყვარულითა,
 სიცოცხლეს აღგვივსებ
 ტკილ სიხარულითა?


— რაო? მე ოჯახში
 შეესცვალო წესები??
 — დიახ... გესურს
 გვებოდოს
 სხვა, უკეთესები.
 რომ გვქონდეს უფლება
 ჩვენ ჩვენის თავისა,
 გარჩევა შეგვეძლოს
 კარგის, თუ ავისა.
 რომ გვქონდეს უფლება
 ვყოთ ნება გულისა,
 წარმოთქმა სურვილის
 გულს დამარხულისა.
 — ბრძევებო!!
 არას დროს
 ეს ეგრე არ მოხდეს...
 ჩემს წესებს არ შეესცვლი,

სიყრმიტგან ვჩვევივარ
 ჩემს სურვილს,
 ჩემს ნებას,
 და თქვენ გსურთ დღეს ხელი
 აღვადლო ბრძანებას?

თვით ღმერთმა მამცნო მე...
 თვით ღმერთმა მასწავლა...
 — თუ რომ გსურს შვილთაგან
 შენ ჭირისუფლება,
 მოგვეცი ოჯახში
 მცირედი უფლება!
 ეგ სიტყვა დამესო
 გულს ვითა ლახვარი!

(იქნება დასასრულიც)

ეშმაკი.



ტ. ტაბიძის რეცენზია!

როგორც საუკეთესო ნიმუში ქართული კაზმული მწერლობისა.

(ფრჩხილებში ჩასმული სიტყვიბა უცვლელად ეკუთვნის ტ. ტაბიძეს).

„მარტოობის ორდენის კავალიერი გალაქტიონ ტაბიძე“.

მკითხველო! სილამაზით განთქმული იღა კავალიერი არ გეგონოს. რაკი სიტყვა **ორდენია** ნახმარი, უნდა ვიგულისხმოთ ამ ორდენის კავალერი, ანუ მისი მატარებელი.

რეცენზია იწყება ასე:

„არავინ როგორც მე მახსოვს ჩვენთან მოსული განიერი ქესტით რომ ლაპარაკობდა: „აი-მე“ არ ყოფილა გაქანებული ილიუზიის ქატიოთ, უხილავ ნაიჯებში, რომ არი შემალული იმნაირი უჩვეულო და უტეხი გატაცებით, როგორც ოდესღაც ეს ქაბუკი, არავის არ უმხელია იმ ქაბუკობის წამში, წამში რომელშიც ინთებიან ზედის წერის ელვანი, ამნაირი ბრწყინვა აზრისა, რომელიც სამუდამოთ აღიბეჭდება მკერდზე მარტოობის ორდენის ბრილიანტით“...

„ასე ამბობდა გრაფი ვალიე დელილ ადანზე სიმბოლისტების ბრწყინვალე მეტრი სტეფანე მაღარმე“..

ვინ, რას ამბობდა — ეს იქნება „საქართველოელებმა“ აგვიხსნას, ხოლო არა მგონია ამისთანა აბდა-უბდა კიდევ ვისმეს ეთქვას.

არ იფიქრო მკითხველო ვაჭარბებდე, ან ერთი სიტყვა ჩემი ჩამემატებინოს. ამოწერილია სიტყვა სიტყვით „საქართველო“ № 3 და 4.

„მარტოობისა და ტანჯვისთვის ნიადაგი საქართველოში არის ყაშირი“... (?)

არის მხოლოდ გამირი.

ქართულ ლიტერატურას მოევიდინა ჰირი,

როცა კრიტიკოსათ გამოვიდა დიდყურა...

და ამ დიდყურას

„მგლოვარ ტუჩებზე“

ღიმილი გაჰქრობია, რადგან

„ტრაურის ვიცილით შეიფუთნენ ჩვენი მკოსების მჯუზანი“.

აღარ არის ღვინო მუკუზანი და ტ. ტაბიძე კრიტიკას ვეღარ დასწერს.

„ქართული მწერლობა ჩვენი დღეებისა მიიგავს ნ. ლორთქიფანიძის საბანს“,

შალვა დადიანის ლებს, ქუჩიშვილის ბალიშს და შანშიაშვილის მუთაქას.

ამ მზითვევის სიძვირით ატაცებული კრიტიკოსი ექსტაზით შესძახებს:

„ღმერთო ჩემო რამდენი შესაძლებლობაა და რა ცოტაა მიხწეული... უკვდავ მიხწევათა აზრით რასაკვირველია“ (???)

„მწერლობა ჩვენი დღეებისა აქ ბევრია სახეები, არქაიული, მაგრამ არიან **საჭეებიც** (?) რომელნიც ქმნიან ილიუზიას სიმბოლიზმისას. უფრო ბევრია კიდევ სახეები სპეციბიკურ-ორიენტალისტური, რომელსაც თუ შეიძლება უნდა დაერქვას აზიური უკვდავი რომანიზმი (ტერმინი ექსოტიკა დაახლოვებითაც არ **სწურავს** (!) ამ ცნებას). აი ეს სახეები მიუხედავად საუკუნოებით დაშორებისა ერთმანეთს ამგზავსებენ ეგვიპტის პაპირუსებს — ინდოურ საგალობელს“ — ბატების ბანს და იხვების კრიმანქულს.

„გაძაკრული ბალი... ყვითელი ფოთლები... დაწყება შემოდგომის საღამოსი, რომლის მგლოდია შექმნა ჰუგო ჰოფმანსტალმა, რომელსაც დაარქვენ საღამოს აქტიორი“

დილის სუფლიორი და შუადღის სცენარისი. თურმე მამია გურიელსაც უნდოდა ეთქვა ის, რაც სთქვა გ. ტაბიძემ, მაგრამ ვერ მოახერხა და **„უმღერი დარჩა ბალახვანი“**.

სამაგიეროთ აღრუტუნდა საღორია, აყროყინდა გაბაშვილის გორა, აქყვირდა გოქოურა და შეიქმნა ტ. ტაბიძის საამო სიმფონია.

„ქართული ენა მრავალ შესაძლებლობას“. თითქმის იმისთანა მწერლებისაც-კი, როგორიც ტ. ტაბიძეა.

„ღექსთა გძელთა თქმის და ხევის, მხოლოდ ხელმარჯვები იგვიანებენ“.

ვინ ხარ ქრისტიანი გამაგებინეთ ეს რას ნიშნავს!

„ამასთან ეს სახეები უშუალოთ განცდილი არიან შადრევანივით ამოდის“...

მე კი ღმერთს ვევედრები ბ-ნო ტ. ტაბიძე-შენი შადრევანი დაშრეს, რომ კვლავ ამისთანა რამ აღარ დასწერა!!

ამისთანა მარგალიტებით სავსეა ორი ფელეტონი, მაგრამ ნიმუშისათვის ესეც კმარა, რომ გიგოს საზოგადოებამ თუ რა აბდა-უბდას ბეჭდავს

„საქართველო“, ის „საქართველო“, რომელმაც დღიდან დაბადებისა ყველას ყურები გამოგვიქედა: მთელ ქვეყანაზე ყველაფერი და ყველაზე მეტი ჩვენ ვიცით. ჩვენს გარდა კი ყველანი უვიცი და სულელები ხართო.

ქაფური.

P. S. სახელმწიფოთა ახალი სახელების გამოგონებას და დამახინჯებას, არა სჯობია რედაქციამ ენის სიწმინდეს მიაქციოს ყურადღება?! სირცხვილი შანშაშვილის.

ქ.

ორგვარი ზვირთი.

(„ზვირთს“)


I

მიყვარს ზვირთი მღელვარე ზღვის!
მის ბუნებრივ ტალღათ გორებს
გიჟმაჟ ვერცხლის ქავლებს მისას
ზღვის გულიდან მონაგორებს
ვეტრფი იმის მუღმივ ბრძოლას,
ნაპირ კლდესან გამართულსა,
რაც ნელ-ნელა კლდეს ძირს უთხრის
მე მიახლებს სულს და გულსა.

II

ნაღონებს ზვირთი, როს მისი ტვირთი
მდორე ტბის არის ტალახით მღვრია
რასაც ქარ-ბუქის ძალ-დატანებით
ნაპირზე ნესვი გამოუყრია.
ქარიშხალს შემდეგ იგივე ტბაა
„არც შესდის არცა გაედინების“
მის ტალახიან და უძრავ გულში
მის „ზვირთებს“ ისევ ჩაეძინების.

ბუტუნა.



ჩვენგან დამოუკიდებელ მიწეზეთა გამო
ვერ იბეჭდება იგავი — „მოჭიდავე“ — ონისიმესი.

ახლანდელი სიძვირე.

იმერული სცენა)

ამას წინედ პაწია საქაე მქონდა თბილისში.
გამევიკაზემ ახალ ჩოხა-ახალუხში, ჩვევდი ქალაქს
დილა აღრიან, მივისაქმე, მევისაქმე იმ დღესვე და
რომ შებინდდა წამევისხი ჩემი კოხტა ბეწვიანი ნა-
ბადი, დევიხურე ჩემი მალალი ბუხრის ქუდი, ევიწ-
კაზე ულვაშები და გამევედი ქუჩაში სასეირნოთ.
ავეყ და დავყე ქუჩას. გევიხედე და მოდის ქალი.
მისთანა ლამაზი კია, რომე აღარ იპოვი მასზე უკე-
თესს. ჩამიპაქუნა თვალი, ჩაუკარი თვალი მეც.
ვევდევენე... ზრასტი, უთხარი—ზრასტო, მითხრა,
რა ლამაზი ყმაწვილი ხარო!—იმე, რა სათქმელია
ბატონო, —წვევდეთ ერთი წვევიქეფოთო.

ჩვევიყავი ჯიბეში ხელი და ერთი თუმნიანი ქე
მოვნახე კუნქულში მიგდებული.

— საით წვევდეთ?

— აქვე რესტორანია, შევიდეთ იქინეო. წე-
ვევდით... ჩვევდით... ვთქვი გუნებაში. ფული ქე
მაქ და აბა, გამევიჩენ ბიჭობას, თქვა „შევედი რეს-
ტორანში და... რას ნახავს ჩემი თვალები! არის
ერთი ზრიაქი!.. აქეთ გიტარაზე უწრიბინებენ, იქით
დოულია ხახა ვინცხა ორ არშინიან სიგანის ქალს
და გაჭკივის. აქეთ ლაქიები დარბიან, ვექილებივით
კალთებ ჩამოხეულ ტანისამოსში გამოწყობილი.
ჩამოვჯექი ჩემი „დუშკათი“ და ვუბრძანე:—დავაი
აღინ დუჟინ ვინა, მეიტანეს და ჩამოწკაპეს.—და-
ვაი სუპ, ჟარკოი, კატლეტ, როზბივ, (საქამანდე-
ბის სახელები ქე ვიცი ღვთის წინაშე, ჩემმა „ნა-
პოვრალმა“ ბიძია ონისიმემ შემასტავლა) მოგვიტა-
ნეს სუფის გარდა ყველაფერი, თურმე სადამოზე
სუფას ჭამა არ ცოდნიათ აქანე. შევერცხვი კაცი!..

— გავმართე ნადიმი! გამვლელს და გამომე-
ლელს ღვინოს ვასმევედი ყველას. ჩემი „დუშკა“
მიპრაწავს და მიპრაწავს თვალებს: გული არხინათ
მქონდა. ვფიქრობდი: ერთი თუმანი ქე მეყოფა.
რომ ვიანგარიშოთ თითო აბაზი ბოთლი ღვინო,
რადგან კი ღვინოა, ეს შენი ორი მანათი და ორი

აბაზი. საქამანდებიც ხუთ ნაირი ექვს-ექვს შაურათ ვიანგარიშოთ, ეს შენი მანათ ნახევარი. გასამრჯელო ლაქიას—ათი შაური. სულ შედგა ხუთ მანათამდის. ხუთ მანათსაც ჩემ ღუშკას მივაკრავ შუბლზე, ესეც შენი თუმანი.

შეიქნა ღამის ორი საათი. დაცალიერდა რესტორანი. მევითხოვე „სჩოთი“. მეიტანეს, დაეხედე!.. იმე, რა დევინახე ეს!.. გამოუანგარიშებიათ, მარა როვარი! კანკრაზი ოთხ თუმან ნახევარი ჩოუნინით და გვერდზე მარკაც ქე უდღუზიათ ორ შაურიანი.

- რაა, ბოშო ეს, უთხარი მე.
- „სჩოთია“, ბატონო.
- ხუმრობთ თუ მართალს წერთ?
- მართალია, ბატონო! ბოთლი ღვინო ორი მანეთი ღირს, თითო „პორცია“ საქმელი ოროლი მანათი და ლაქიას მანათზე ორი შაური საჩუქარი ერგება.

იმე, რაღა ვქნა ახლა! თავში ქი მილიტინებდა ღვინო, მარა ერთ წამში გამოფხიზლდი, დავადე პირი და გავშტერდი... გეიგო ჩემმა „ღუშკამ“ რომ გლახათაა საქმეო და წვევიდა ხვანხვალ, ხვალხვალით კარებისაკენ. გამევეკიდე.

- სტოი, ღუშკა, კულა ილიოშ?
- დასვიდანია! დამოი ილუ!

მსტაცეს ხელი ლაქიებმა, ეგონათ მირბის კაციო. მომივიდა კუჭი, რაღა გაბედეთ და ხელი შემახეთ-თქვა, გოუშალე ერთს და ვსტკიცე, გოუშალე მოორეს და ვსტკიცე სილა. დამეხვია ოცამდინ კაცი, მარა გიყვარდეს, რომ მე იმათ უტირე ყოფა. ბოლოს მევიდა „გარადლი“, „პოლიცია“, „სტრაჟი“, „აკლოჩნიზი“, გამქაჩეს და წამიყვანეს...

რავარც იყო დავახწიე თავი „არესტს“, მარა ჩემი ბეწვანი ნაბადი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ხუთ თუმნიანი ბუზრის ქუდი ქე ვახთა მისი ტირის სანაცვლო.

დაღუპოს ღმერთმა ახლანდელი სიძვირე.
გუგუული.



„მოღვაწეთა მოღვაწეობა“.

(ქუთაისში წყალ-სადენის მოწეობის გარშემო)

დიდი ხანი არ არის, მას აქეთ რაც ქუთაისის ამშენებელმა ილია მანუჩარიჩმა ოკრიბელი აზნაური ჟორჯიკას დანმარებით, (კოლუმბისა არ იყოს) ოკრიბის მთაში მოჩუხჩუხე წყარო აღმოაჩინა. იმედია ახლო მომავალში ველირსებით ანკარა წყაროს წყლის სმას, რადგან უმთავრესი საქმე: გეგმის და მოხსენების შედგენა უკვე დაუმთავრებია ინჟინერ ბ. ქურდიანს. ჩვენი ბედოვლათი ქალაქის მამები მოუთმენლათ მოელოდნ წყალ-სადენის გეგმის დამთავრებას და კიდევაც გამოიჩინეს ამ საქმისადმი დიდი ინტერესი: კერძო თათბირზე, მოხსენების მოსასმენათ—გასაცნობათ გამართულს, სამოც ხმოსანში მხოლოდ ხუთ ნახევარი კაცი დაესწრო. აღსანიშნავია ის, რომ ყოველ ახალ მოსულ ხმოსანს თან მსახური მოსდევდა სკამით. ჩვენ ლორდ-მერს, სამშობლოს საკეთილდღეოთ, საქიროთ უცენია დარბაზიდან სკამების წინასწარი აკრეფა, რათა კერძო პირებს დასაჯდომის უქონლობით დაჰკარგოდათ ხალისი სხდომაზე დასწრებისა. მიუხედავად ამისა მე ცოდვილი გავკადნიერდი, ფანჯარაზე ჩამოვჯექი და იქიდან ვისმენდი ჩვენ მოღვაწეთა აზრიან მუსაიფს.

თითქო ჩემ ჯინაზე, ხმოსანთა კრებულში ფეხი ფეხ გადადებული გადაქიმულიყო ოკრიბელი აზნაური ჟორჯიკა. ის ამ ჟამად ექს გამგეობის წევრია. დღემდე კი სიმონის მაგიერობას ეწეოდა. ნაციონალურ კონსტიტუციის მომართულს, საომარ იარაღით აღჭურვილს, ნიშნად ომიანობისა საქილებში ფიშტოს პატრონები ქონდა გარკობილი, რაიც ისედაც მის მხნე სახის გამომეტყველებას აორკეცებდა.

თათბირის ვახსნის თანავე ლორდ-მერმა მიიღო რა მრისხანე გამომეტყველობა უბრძანა ხმოსნებს ბ. ინჟენერისათვის მალლობა ვადანხადათ, რაც დარბაისელმა ხმოსანთა კრებულმა დაუყოვნებლივ ფეხზე წამოხტომით შეასრულა. ამ მოულოდნელი პატივით და გადაქარბებული შექებით გაქარხალებული ინჟენერი შეუდგა მოხსენების კითხვას. ტენიკური მხარე მოხსენებისა ჩინებულად და დალაგებულათ აღმოჩნდა შედგენილი. მხოლოდ ერთ ვაქარ ხმოსანში დაბადა შიში რვა

დიუმიანის ხსენებამ. ის რასაკვირველია ფიცხელ დააშოშმანეს, როცა განუმარტეს რომ ეს წყალსადენის მილს შეეხებოდა და არა სხვა რამეს. მოხსენებაში მართალია მასალის ფასები არ აღმოჩნდა აღნიშნული, მარა თურმე ომიანობის გამო ფასების გამორკვევა ვერ მოხერხდა, და უკეთეს უცხოეთსადან მასალის გამოწერა შესძლეს, ფასებიც თავის თავად გამოირკვევა. ერთი ურწმუნო თომა ამ მრავალ რიცხოვან ხმოსანთა კრებულშიც აღმოჩნდა. მან გაბედულათ განაცხადა: ბადეები ვერ გვიშოვნია ქუჩების ფანრებისათვის, ერთ რვა დიუმიანი მილის გამოწერა ვერ მოგვიხერხებია გამგეობის ნოლიან ოთახისათვის და წყალსადენისათვის საჭირო მასალის გამოწერას რა გზით მოვახერხებთ დღევანდელ პირობებში. ცალმხრივი შენიშვნა ლორდ-მერმა საბუთიანად უარყო: ტენნიკის გაუმჯობესობის გამო დღეს „ექსპორტ-იმპორტი“ აეროპლანების საშვალეებით ხთებაო და ამ არგუმენტის შემდეგ თათბირმა სავსებით მოიწონა მოხსენების ტენნიკური მხარე—გეგმებითურთ და აღფრთოვანებული ხმოსნები მოემზადნენ მოხსენების ფინანსიურ მხარის მოსასმენათ.

აღნიშნულმა მხარემ უფრო გამწვავებული აყალ-მაყალი და აზრთა შეხლა-შამოხლა გამოიწვია. აღმოჩნდნენ პროტესტანტები, რომლებსაც შემოსავალი გაბერილათ ეჩვენათ და გასავალი შემცირებულათ. წარმოიდგინეთ ერთმა ისიც თქვა: მართალია ბახუსის წვენი გაძვირდა, მარა ორ ვედრა წყაროს წყალს თვითველი ქუთათური დღეში მაინც ვერ დაღვესო, მერე და კურთხეულ ქუთაისში ქები მრავლათ არის, რიონიც შუა გულში მიიკლაკნება და წვიმაც უხვათ იცისო. ამ მიზეზების გამო არამც და არამც მოხსენებაში ნაჩვენები წყალი არ დაიხარჯებაო. დამაცათ გეთაყვა—წარმოსთქვა ილია მანუჩარიჩმა, უკეთეს მთავრობის კუნტულოებში გავაძვირინე საქმე, შენობათა მოხაზირება ჩემ კისერზე იყოსო. აბა მისი კისერის და თავის სისხლში რომელ ხმოსანს შეეპარებოდა ექვი და მოხსენება დაუყონებლივ იქნა მიღებული.


თათბირის დასასრულ ქალაქის თავმა დარბაისლურათ წარმოთქმულ სიტყვაში, გარკვევით დაგვიხასიათა ქუთაისში წყალსადენის მოწყობის ისტორია. ჩემ მოვლინებამდი ქალაქის მოღვაწეები ოცდა ათი წელი ფუჭეთ ეძებდნენ წყაროს და ვერ იპოვესო. თურქე ამ ხანში ათჯერ გაუზომიათ ქუ-

თაისის ქუჩები და შეუდგენიათ გეგმა-მოხსენება. სამ წელიწადში ერთხელ იცვლიდა მიმართულებას ქუჩები. ოთხი წელი ჩემ წინაპართა მიერ გაკეთებულ საქმის დაფუშვას მოუწდიო და დაგვიმედა: უკე თუ აწი წინააღმდეგობას არავინ გამიწვეთ, უხმოთ—უკრიტიკოთ მომყვებით, არა უგვიანეს ცხრა წლისა ქუთაისის მცხოვრებლები ანკარა წყაროს წყლის სმას ეღირსებაო ჩვენი დანტისტების საკეთილდღეოთ დაშამბულ რიონის წყლის სმას გადაარჩებაო.

გავიხარინა ნასიამოვნები და დიდათ გამხნევებული ჩვენ დავრჩით ძვირფასი თავის სიტყვით! გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ერთი ხმოსანი ექიმი. იგი თათბირის დროს ბორჯომის წყალს მიირთმევდა და მისი გავლენით, თუ რაღაც გაა მოუტკვეველი მიზეზით, სკეპტიკურათ შეხვდა წყაროს წყლის ამბავს და ურჩია ქალაქის მოღვაწეებს სანოვავის სიძვირის გამო თავი დაენებებიათ წყალსადენის მოწყობისათვის და მანებელი რიონის წყლის ნაცვლათ ბორჯომის წყალი ესვათ.

საერთოდ მე ისე მივხდი რომ ბ. ქურდიანი დიდათ კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა საბჭოს კერძო თათბირით. ცხადია, ქუთაისიდან თფილისში გაბრუნებული გზაში სულ ამას ფიქრობდა: ასეთი ხმოსნების ხელში წყალს ქვიდან გამოადენს კაციო.

„სატანა“.





როგორ იღებენ პოზიციებს „ძმურ ნუგეშში“.

ქუთაისის ელექტრესტრიანტში

(გურული სცენა)

გუშამ გოროცკოი ტრიანტიდან რავარც იქნა მიფორთხდი გოგიე ჩხაიძის რესტორაციაში. ააშენა ღმერთმა, ჭეა კაი ყაძახი! რო შემამჩნია სახე მოკუბრული მქონდა, მკითხა: რა წაგეკიდა პავლიაო? — ღმერთმა დასწყევლოს თქვენი ქუთაისის გოროდი და თქვენი ტრიანტი მეთქი და მოუყევი რაც იქინე გადამწყდა ყოლიფერი. მითხრა:

— არ გეწყინოს და, შენ ჩემო პავლია ხამი ხარ და იმიზა გეტოშა.


— დედავ, წავხთი ახლა, რას მეუბნები მაგას გოგია, მაგია გამოჩოვა? ყაზილარები კისერზე, ზრუგზე და მუხლებზე რომ დეიფინო და თავი გამოაჯორგვიო? არა, ძამია, მაგას ვერ ვიზამ.

— ბევრი აღარ მილაპარაკია, მივწევი ერთ იეფიან ნომერში და მეორე დღის 12 საათამდე ზანდალი არ მიქნია. ავდიქი პირველ საათზე ბა-

ტონ კაცივით და მეორე საათზე სადილი დევიხეფსე. გადავწყვიტე ღამის ათ საათზე მაინც წავსულიყავი სახში; ათ საათამდე კაი მოყოლა ხანი იყო და დევიწყე აქეთ-იქით ბლაცუნი, შერიშრამდა, გევიხედე, ყოველგან გადაფირქილებულია დუქნები. ერთ დუქანს მაინც წინა კედლებზე თლათ მოქანჭარიკებული ქონდა რაცხა გვალ-გვალი სინათლებსავით. გადვირე კაცი, ბიჭო, დეიწვა დუქანი მეთქი, კალამ ვიყვირე, მარა, ჩემს თაღს ვუთხარი: ბიჭო, შენდა დეიტეი, სირცხვილი არ ჭამო, თუ იწობოდეს, ავერ ამდენი კაცი რომ არის, რეიზა აფერს ჩივიან მეთქინ და ჩავჩუმდი, მარა არ მომითმინა გულმა. წამივიდა სული და ერთ კაცს ვკითხე, რეიზა აგი დუქანი ასე გაქინფილებული მეთქინ.

— აგი, ელექტრესტრიანტიაო, მითხრა. ოი, დასწყევლოს ღმერთმა თქვენი ტრიანტი მეთქინ და გამოვბრუნდი მარა, არ იქნა, რაცხა სულ იქით მიმწეგდა. ბოლოს რალაცა ჩემმა უბედურებამ ჭე მიმაჩერჩეტა ახლოს.

სურსათ-სანოვაგეთა საკითხი.



გზა საქონლის ვაგონისაკენ.

— ბიჭოს! რაცხა ბუზიკა თუ ლიტარის ხმა-სავით გევიგონე, გადანარა მაშვინათე გულზე, ჩემი ფოსინიე სულ ბუზიკას უქვიპინებს და გიტარას უბანტურებს, მარა, იმისანაი ჩაკირკანტულეზული არაფერი გამიგონია. გადავაფურტნე ეშმაკებს და ბილეთების საყიდლათ მივედი. ვთქვი, რაც უნდა იგი მიქნან ლემლაზისტებმა, კისერზე დამაქდებიან, ზრუვში მომეკუქუნებიან, მუხლებზე დამაწობიან მარა ყურში ხომ ვერ ჩაძიძვრებიან, ამ ბუზიკას მაინც ქე გევიგონებ მეთქინ. ნათქვამია არეკი: „ვინცხას თურმე წყალში ცული ჩაუვარდა და წალდიც ზედ მიაყოლაო“. სწორედ მეც ასე ვიზამ მეთქინ, და მივედი გამოჭრილ საბილეთესთან, დევიკუზე და უთხარი ქალს: ბარიშნა, ბილეთ დავაი, მარა ქანდარაზე ნი ხაჩუ მეთქინ. — წინაი თუ უკანაი გინდაო. — წინაი მომეცი მეთქინ ვუთხარი, რაც დამეხარჯება დამეხარჯოს, არ მინდა იმ ქანდარეს აფერი მეთქინ. მომიფხრიწო რაცხა ქალალდი და აბაზი გამომართვა. გავშტერდი კაცი, ვერ მოვედი აზრზე, ვეკითხები ჩემს თავს: რაფერ არის აგი.

გოროცკოი ტრიანტში ქანდარაზე, თლათ უკანა ბილეთი სამ აბაზათ დამიქდა და ამ ბარიშნამ წინა ადგილი აბაზათ მომცა, აგი რაფერ არის მეთქინ. მერე ქე გევიგე, როცა ვადმომებრუცა წინ ჟლო-მით თვალები, რაში ყოფილა საქმე. თურმე ელეკრესტრიანტში თავ-უკულმა ყოფილა ყოლიფერი, ქანდარე თურმე აქანაი პირველი ადგილი ყოფილა. შევედი დავეედი; ვეყურებ როის დამაქდებიან ლიმნაზისტები თავზე მეთქინ, მარა, სულს ვერ დავწვავ; აქანაი ქე იყვენ წყნარათ, გევიხედ-გამე-ვინედღე, ქეც შემრცხვა და ქეც შემეშინა, თლათ ვაფსებული იყო იქოურობა ლემლაზისტებით და ციციებით, ებრაზიალისტებით. თელათ ქუთების გოროდის უჩენიკები თურმე ყოველ დამე აქანაი არის, ისე ყოფილა იგენის მასწავლებელის ბრძანება. მე რომ მკითხოს კაცმა, ხომ უსტაველი კაცი ვერ, ინი არ მეყურება, მე იქინე ბალანას. ასი რომ მყავდეს ელეკრესტრიანტში არ გოუშობ. ნენა, ნენა, რა ვნახე იგი საოცარი, უბედურება ამბავი! ხომ კარგათ უკირკანტულეზდა ბუზიკა იყო

თუ რაცა, მარა, იგი აღარ მეყურებოდა, ისე გამიტაცა, რაცა ისეთი უბედურება პათრეთები გვიჩვენეს: გამევიდა ერთი უშველებელი შტრინგი ყაძახი, გამოყვა ვინცხაის კაი შეპიწყინებული ციცი, დოუწყეს ერთმანეთს ბლაზური, ღლარჯვა, თვალის შტიმვა, მერე მობუჯდნეს ერმანეთი, ჩამეეკოპსიალენ კისერზე და წურბელასავით მიაქიპიპდნენ ერთმანეთს, პროშტეს და პროშტეს, კოცნეს და ჯგვლიმეს ერთმანეთი. ხომ მოხუცებული კაცი ვარ, მარა, მე ამობლაზურდა გული, და ბაღნები, აი ღემლაზისტები და ღემლაზისტები ხომ დეილიენ, მისპენ თლათ, ისე აღელდენ. „ხო, ხო, ხო, ბიჭო, ბიჭო, ბიჭო, რაფერ მოწრუპა, მაგ დასალუპავმა, შეხედე, შეხედე, ანიუტა, — ფა, ფა, გენაცვალე ყაიდაში, მასე, მასე“. სულ ასე იძახდნენ ჩემს გარშემო. ვინ იცის კიდევ რამდენი იმაზე ვარსი მანახეს. არა, მე კაი, თუ გინდა, მაგისანაი ქე მინახავს და ვარსიცი, მარა, ამ ბაღნებს პატრონი რეიზა არ ყავს, რომ აქანაი უშვებენ, ამაღამ რავა დიეძინება იგენს. არა, ბაღნებს რა გიემტყუნება დიდებსაც რა წამოებორწიალებია თითისიგე ბაღნები და აყურებიებდნენ ამ საშინელებას... შვიდობით „ელეკრესტრიანტო“, პრაშჩაიტ, მივალ შინ ჩემს ეფიზელასთან, თვარა შენ თუ გიყურე კარქათ წავა ჩემი საქმე. ასე წევიდა ჩემი მგზავრობა. — წყალტუბოს აბანოც ვნახე და ვირის აბანოც, კაი აბზავი მიმაქ შინ.

ლუკაიეს ობოლი.

მოხსენება ხონიდან.

II

ორი ინტერვიუ.

პირველად ექ. მ. ჩხენკელს ვეწვიე. იგი თუმცა რწმენით ესფერია, მაგრამ როგორც გადმომცეს, არაფერი აქვს საერთო აქაურ მამულიშვილებთან. თავაზიანათ მიმილო.

— უკაცრავათ ვარ, გაწუხებ, — დავიწყე მოკრძალებით და რბილ სავარძელში ჩავჯექი, — მაგრამ იმედი მაქვს არ გამიწყრებიო.

— აბა რა ბრძანება... მიბრძანეთ რით შემიძლია გემსახუროთ, მე მზად ვარ.

— თუ არ ვცდები თქვენ ეროვნული მიმართულების უნდა ბრძანდებოდეთ.

— არ სცდებით.

— მაშ რით ავხსნათ გამწვავებული დამოკიდებულება თქვენსა და აქაურ მამულისშვილთა შორის?

— მით, ჩემო კეთილო, რომ ჩემსა და მათ შორის არაფერი საერთო არ არის: აქაურ, ეგრედ წოდებულ, მამულიშვილთათვის ეროვნული მიმართულება საშუალებაა თავიანთ კერძო საქმეების მოსაკვარაჟინებლათ, ჩემთვის კი — რწმენა; მე სულითა და გულით წმინდა წყლის დემოკრატი ვარ.

— მერე განა დემოკრატები არ არიან მასიკო ქელიძე, მათე ბახტაძე მეუღლითურთ, ჭიჭიკო ქუთათელაძე და ძმანი მათნი, რომელთა სახელი ღეგონია?

ექიმის შავგრემან, სახეზე ირონიულმა ღიმილმა გაითამაშა.

— თქვენ ან ხუმრობთ, ან სრულიად არ იცნობთ ამ ხალხს. თქვენ მიერ ჩამოთვლილ პირთა დემოკრატობა აბა სად გაგონილა?! მ. ქელიძე მხოლოდ და მხოლოდ სპეკულიანტია, ექიმი ბახტაძე კი ბანკირი, მაგრამ ცოტათი უნარ-ნაკლები, ჭ. ქუთათელაძე... ექიმი ერთის წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო: არ ვიცი სწორეთ რა დავარქვა, იგი ყოველივე იდეურობას მოკლებულია; მხოლოდ ოხუნჯობა იცის მოხთენილი, მაგრამ ხანდისხან იმასაც გადაამლაშებს ხოლმე. არა უკეთესებია სხვებიც, ერთი სიტყვით აქაურ მამულიშვილთა ლაშქარი შესდგება ვაჭრებისაგან და სხვა ამგვარ ელემენტებისაგან. ასეთ მამულიშვილებისაგან ვიჯმნი და ათასყერ ვიჯმნი, ბ-ნო აბოო.

— მაგრამ, ბ-ნო ექიმო, მამულიშვილთა ლაშქარი ყოველგან ასეთ ელემენტებისაგან შესდგება; ვაჭარი, მღვდელი, ბერი, თავადი, აზნაური, ბანკებში და სხვა შემოსავლიან ადგილებში მოკალათებული ინტელიგენტები, რენეგატები და სხვა და სხვა, აი მამულიშვილთა ჯარი.

ექიმის სახეზე მწუხარების ღიმილი აღიბეჭდა, მან თავი დაბლა დახარა და მწარე ფიქრებს მიეცა. მეც გავნახე სული. ოთხი-ხუთიოდე წუთმა განვლო და ექიმი კი ისევ განაგრძობდა ფიქრთა მორევში ცურაობას. უკვე მეთოთხმეტე საათი გახტა, მეტი მოცდა არ შემეძლო, რადგან მასიკო ქელიძისაკენ მივიჩქარადი ინტერვიუზე. ფრთხილათ ავდექი და გამოსამშვიდობებლათ მოვეშხადე.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბ-ნო ექიმო! კიდევ ბოდიშს ვიხდი და დიდ მადლობას გწირავთ...

ექიმმა თავი ზევით ასწია და რა დამინახა ამდგარი, თვითონაც წამოღდა.

— უკვე მიბრძანდებით?

— დიახ, მეჩქარება.

— თუ შეიძლებოდა ერთი თხოვნა მომისმინეთ, მეტად ნაღვლიანი ხმით წარმოსთქვა მან და თვალეში მომაშტერდა.

— ბრძანეთ და მიმსახურეთ.

— თუ თქვენ მართალს ლაპარაკობთ და მართლა ყველა ჩვენი მამულიშვილები ისეთებია, როგორც აქაური—ხონელი მამულიშვილები, დამავალეთ და სთხოვეთ ჩემს მაგივრათ ბ-ნ ეშმაკს, რომ გამოაცხადოს, საქვეყნოთ გამოაცხადოს, რომ მე არა ვარ მამულიშვილი... დღეის იქით მე ვიქნები მხოლოდ ქართველი და მეყვარება ჩემი ერი იმ უანგარო სიყვარულით, როგორითაც დღემდე მიყვარდა.

— ბატონი ბრძანდებით. მიუგე მე და გამოვსწიე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასიკო ქელიძის მალაზიის წინ ვიდექ. ბ-ნი მასიკო ანგარიშების წიგნებში იყო გართული და მეც დავიცადე სანამ საქმეს მორჩებოდა. დიდხანს არ დამჭირდა ცდა. ის მალე მორჩა ანგარიშებს და წიგნი განზე გადადო. მეც შევედი მალაზიაში და მოკრძალებით დაუქარ თავი.

— ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: მისი უეშმაკე-ბულესობის მოადგილე ხონში—აბი

— მერე ჩემგან რა გნებავთ; ცოტა მწყურალი კილოთი მიპასუხა მან და ამათვალ-ჩამათვალეირა.

— ბევრი არაფერი. როგორც მე გავიგე თქვენ ბრძანდებით ადგილობრივ მამულიშვილთა ლიდერი, ამისათვის მინდა ინტერვიუ გავიკეთო.

— ინტერვიუ?!

— დიახ, ინტერვიუ.

— როგორ თუ ინტერვიუ გამიკეთო?! მე არაფერი არ გამეგება... ჯერ ამიხსენით რა არის ეგ ინტერვიუ, ან რამდენს ითხოვთ მის გაკეთებაში.

— რას ვითხოვ რამდენს, ბ-ნო მასიკო?

— რასა და ფულს. რამდენი ლირს ინტერვიუს გაკეთება?

— მე ფული არ მინდა მე მინდა გავიგო თქვენი აზრი ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, მინდა გავცნო თქვენს შეხედულობას; ამას ეწოდება ინტერვიუ.

— აჰაა, ახლა კი მივხვდი, მაგრამ მაგარი ის

ირის, რომ მე... აბა რა ვიცი რა აზრისა ვარ... მე... მე იმ აზრისა ვარ, რა აზრისაც თვედორე ლლონტია; თუ ამ მწერალის წერილებს წაიკითხავთ, ჩემ აზრსაც გაიგებთ. თუ ინებებთ, მე გათხოვებთ „სახალხო ფურცელსა“ და „ზვირთის“ ნომრებს...

— არა, არა ღვთის გულისათვის,—შეშინებული შევსძახე მე,—აბა რა დაგიშავეთ რომ ასე სასტიკად მიბირობთ დასჯას?! არ მინდა, ბ-ნო მასიკო, თქვენი აზრი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ოღონდ კი თვედორე ლლონტის წერილებს ნუ წამაკითხებთ... სხვა რამეებზე ვიბაძისოთ, აი თუ გნებავთა დასელებზე.

— დასელებზე?.. ეგ კი შეიძლება. დასელები მეტად ვერავი ხალხია, არ მასვენებენ: ხან რას მწამებენ და ხან კიდევ რას...

— ქეშმარიტათ, რომ ვერავი ხალხია, ამაში მეც გეთანხმებით, მაგრამ შეიძლება ამიხსნათ მიზეზი მათი ვერავობისა? მე ბევრი ვეცადე, მაგრამ ნამდვილ მიზეზს მაინც ვერ მივაკვლიე.

— ნუ თუ, ბატონო აბო? აბა რა არის აქ გაუგებარი? უნიადაგობა, ბატონო, უნიადაგობა! ჩვენში იმათ ნიადაგი არა აქვთ და ეს არის მთელი მიზეზი მათი ვერავობისა და სიბრაზისა. ამ ბოლო დროს კი სრულიად გამოეცალათ ნიადაგი, განსაკუთრებით, რაც ჩვენმა თვედორემ „ზვირთი“ გამოცვა: ახლა მუშები ყველანი ჩვენსკენ გამოიბიან. ამის დასამტკიცებელი საბუთიც აქა მაქვს. ბ-ნმა მასიკომ უბეზე გაიკრა ხელი და ქალაღდების მთელი დასტა ამოიღო. შემოაცალა ჯერ ერთი ფურცელი ქალაღდი, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და გამოაძრო მეშვიდე, რომელიც პირველ ექვს ფურცელში ჰქონია გახვეული.

— აშკარაა, რომ არც სახუმარო საბუთია, გავიფიქრე გულში და სმენათ ვიქეცი.

— აი, ბ-ნო აბო! მოისმინეთ რასა მწერს ერთი თბილისელი სახელოვანი მამულიშვილი, მითხრა ხონელ „მამულიშვილთა ლიდერმა“ და დაიწყა კითხვა: „ძვირფასო მეგობარო მასიკო! მოგიკითხავ და სალამს გიძღვნი საყვარელ საქართველოს დედა-ქალაქიდან. სხვა რასა იქ, როგორ მიდის მაქ საქმეები? წყეული დასელები ხომ არ გჯობნით?.. ეცადე, ეცადე ხონელ მამულიშვილთა ბურჯო, და ისტორია არ დაივიწყებს შენს ღვაწლს. აქეთ კი საქმე ისე კარგად მიდის, რომ ჩვენც გვი-

კვირს. „ზვირთმა“ თავზარი დასცა წუბაკ დასელეებს; მისი წყალობით ეროვნული მიმართულება საარაკო, ზღაპრისებურის სისწრაფით ვრცელდება მუშებში. მერე არ იკითხავ, რა მუშებია ჩვენი მუშები? თვედორე სტატისტიკურად ამტკიცებს, რომ ერთი ჩვენი მუშა განვითარებით და ამხანაგური სოლიდარობით უდრის 908¹/₇ დასელ მუშას. არითმეტიკულათ რომ დაეთვალოთ, ჩვენი მიმდებარე მუშათა რიცხვი მთელს საქართველოში მხოლოდ 21, მაგრამ, რადგან თვისება გადადის სიმრავლეთ და არა სიმრავლეთ თვისებათ, როგორც ჩვენებური უეცი დასელები ამტკიცებენ, ჩვენი მიმდებარე მუშათა რიცხვის მისაღებათ 908¹/₇ უნდა გავამრავლოთ 21-ზე; მივიღებთ 19071-ს. ამდენი მუშა დასელებს არასოდეს არ ყოლიათ და არც ეყოლებათ. ამას გარდა...

ამ დროს მაღაზიაში მუშტარი შემოვიდა. ბ-მა მასიკომ იმ წამს კითხვა მიატოვა და მას მიუბრუნდა. მეც ვიხელთე დრო და სწრაფად გამოვსრიალდი მაღაზიიდან, რადგან ძალზე შემეშინა, რომ ხელახლავ წერილს არ დაბრუნებოდა ბნი მასიკო და თვედორეს ახალი სტატისტიკური ცნობებით არ გამამსახინძლოდებოდა.

თქვენი უეშმაკესებულების მოადგილე ხონში აბი.

აკაკი ფალავას ნატყრა.

ქართული თეატრი!

ოოპ, ეს არის ჩემი იდეალი! ჩემი ოცნება და სინამდვილე! სიზმარი და ცხადი! ჩემი გულის ძგერა და სულთა სწრაფვა! ეს არის ჩემი წმინდა ტაძარი, საცა მუხლს ვიყრი და თავზე ნაცარ წაყრილი ვლოცულობ ხოლმე...

და მე მსურს—ეს ტაძარი დაინგრეს ისე, რომ მის ნადგომზე არც ერთი ქვა აღარ დარჩეს: ქართული თეატრის საძირკველი აღმოიფხვრეს ისე, რომ აღარსად იყოს მისი ხსენება, სიტყვა „ქართული თეატრი“ ამოიშალოს ლექსიკონიდან და გადავიდეს მოგონების ხანაში. ცეცხლმა შთანთქმას დრამატიული ლიტერატურა, ყველა პიესები, თარგმნილი და ორიგინალი, ისტორიული და თანამედროვე... ჟამმა გასწყვიტოს ყველა დრამატურგები უცხო და ჩვენებური... შავმა ქირმა მოსრას ქართველი არტისტები ნიქიერი და უნიქო, მოხუცი და ახალ-გაზდა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა და დავრჩე შარტო—მე...



მესტვირული.

კული დრო გვიდგას მკითხველო, მძიმე და აუტანელი, ამგვარი უბედურების ჯერ არვინ არის მნახველი.

თოფ-ზარბაზნების გრიალში სივლება გულის ნადველი, და თუ კვლავც ასე გასტანა აღარ გვკონია საშველი...

სოფელ-ქალაქათ ვაჭრები,—
ეგ ყორნები და ყვაეები,
აღარ ინდობენ არავის,
ლამის ვაგვადრონ ტყავები.

შაურიანში მანეთი
მიაქვთ, ვინ არის დამშლელი?
მოდის და მოდის ქანქარი,
სიმდიდრის წყარო—გამზრდელი...

ქუთაისშიაც კი გვყანან
მსგავსნი წუბრბელთა სადარი,
ბასილად — კილასონია
და კიდევ ბევრი მათ გვარი.

ამ ყმაწვილებსა უბოვეს
გადამალული შაქარი,
ბრაშმა გახეთქა ორთავე,
აებნათ ქკუის დავთარი.

ჯავრსა მუშტრებზე იყრიან,
უწესოთ ილანძღებიან,
სიტყვა ვერ გითქვამთ სათქმელი
ყვირიან, იმუქრებიან.

თუმცა ჩინ-ტემლაკიანებს
უფრო თავაზით ხვდებიან,
„რამდენიც გინდათ ინებეთ“
ღიმილით ეუბნებიან...

ვაი რა დროა ტიალი,
მძიმე და აუტანელი,
ამგვარ ყაჩაღურ ვაჭრობის
ჯერ არ ვყოფილვარ მნახველი.

ამ დელიყანდთა ქცევითა
სავდება გულის ნალღველი
და თუ კვლავც ასე გაგრძელდა
არ არის ჩვენი საშველი.

ბელაძე.

საშიში სენი

(წერილი ხაშურისაგან)

ძმაო ეშმაკო! ძალიან სამწუხარო ამბებს გატყობინებ ხაშურიდან. თუ დროზე არ ვიხმარეთ ღონისძიება დიდი უბედურებაა მოსალოდნელი. საქმე აი რაშია.

ეს არის ეხლახან შევიარე ხაშურში სამეცნიერო მიზნით. (ექიმი ვარ და ებიდემიურ სნეულებებს ვიკვლევ). მინდოდა გამომეკვლია ხაშურლების ფიზიკურ-სულიერი მდგომარეობა. რადგან ჩემ ყურადღებას უფრო მოსწავლევ ახალგაზრდობა იპყრობს (ესენი საუკეთესო მასალას წარმოადგენენ სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის). მეც მათ მივმართე.

მოწაფეები ბლომად გამოფენილიყვნენ. დავაკვირდი, გადავშინჯე და გულმა ტკივილი იგრძნო. არც ერთი სალი! მაშინვე მივხვდი, რომ, ჩვენს

დროში ფრიალ გავრცელებულ სნეულებასთან — ტვინის ქარებთან მქონდა საქმე. ამ ავადმყოფობის შესახებ მე ცალკე მაქვს გამოკვლევა, (რომლის წაკითხვას ვაპირებ პასტერის ინსტიტუტში მედიცინის პროფესორის ხარისხის მისაღებათ). ახლა კი, ორიოდ სიტყვას მოგახსენებ მის შესახებ.

ტვინის ქარები მეტად საშიში და გადამდები სნეულებაა. უჩნდება მომეტებულად ახალგაზრდებს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა. თუმცა ეს სნეულება ყველგან არის გავრცელებული, უმეტეს დიდრონ ქალაქებში, მაგრამ არ მეგონა თუ ხაშურსაც მოედებოდა, როგორც უფრო მორიდებულ კუთხეს. აქ ძმაო ეშმაკო, სნეულებას პირდაპირ ებიდემიური ხასიათი მიუღია როგორც ეტყობა, აქაურ კლასიკურ გიმნაზიებს უფრო მოსდებია სენი. ხაშურის პედაგოგები ფრიალ დამწუხრებულნი არიან ამ უბედურების გამო და საშუალებას საშუალებაზე იგონებენ მის აღმოსაფხვრელად.

პირველ ღონისძიებად მიღებულია, რომ „ავადმყოფ“ მოსწავლეებს სადგურის ბაქანზე გასვლა ეკრძალებათ, რადგან აქ ქალები და ვაჟები ერთმანეთს ხვდებიან და ასეთ შეხვედრის დროს „ავადმყოფებს“ დიდი „ქროლვა“ აუტყდებათ ხოლმე. პედაგოგთა ასეთმა საშუალებამ ვერ გასჭრა, და ახლა სხვა წამალი გამოსძებნეს. საჭიროდ სცნეს ნება დართონ „ავადმყოფებს“ ხაშურის კლუბში თავი მოიყარონ ხოლმე დრო გამოშვებით, (ქალებმა და ვაჟებმა) ტლინკაობა — (უკაცრავად „ტანცაობა“) მართონ და გვერდების, მკერდისა და ზურგის მასაჟი უკეთონ ერთმანეთს. იქნებ ამ მასაჟმა ტვინიდან ფეხებისკენ დასწიოს ქარები, მაგრამ ამ „ბრძნული“ საშუალებით უფრო უარეს დღეში ჩაპყარეს საცოდავი ავადმყოფები. როგორც შევიტყვე პედაგოგებს კიდევ ბევრნაირი საშუალება უხმარიათ, მაგრამ უნაყოფოთ.

ახლა საქმე ჩვენზეა, და თუ დროზე არ მივეშველეთ „ავადმყოფობა“ ყველას გადაედება, განურჩევლად წლოვანებისა. ჩემის აზრით მასაჟი მათრახის კუდით უფობრი საშუალება უნდა დარჩეს და ამიტომ დაყოვნება დანაშაულობა იქნება.

ერთი ამბავი კიდევ. ხაშურის ქალებში თურმე კარგა ხანია გავრცელებულა ერთნაირი სნეულება, რომელსაც უბრალო ენაზე „ცუდაობას“ უწოდებენ. ამ სენით შეპყრობილი ქალები რაღაც ავადმყოფურ ლტოლვილებას ჰგრძნობენ ქუჩისადმი.

ლილიდგან საღამომდის (კარგი რომ მალე ღამდება) ქუჩაში დადიან და ლაპარაკის (რუსულის) აშლილ საღერღელს იოხებენ. სახლში მისვლისას მხოლოდ პურის ქამას ახერხებენ. სხვა რაიმე საქმის გაკეთებისას ხელების სიღამბლე ემართებათ რასაკვირველია დროებით, ვიდრე გათენდებოდეს ე. ი. ქუჩაში გამოსვლამდე.

აბა შენ იცი, ძმაო ეშმაკო, „ცუდაობის“ წამალიც გეცოდინება, შენებური. „პატენტის“ და კარგა ბლომად უნდა წამოიღო.

ტვინ-ქარიანების მკურნალი
გოგია მესხელი.

ჭორი თუ სწორი!

(საშეგვრელად)

ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა 1915 წ. ეყრებოდა სული. მომწყინდა სულ ტყეში ყოფნა და ის-ის იყო დავიწყე სოფლად ხეტიალი. ძნელად წარმოიდგენს კაცი იმ მანძილს რაც გავიარე, სანამ წავაწყდებოდი ერთ საზოგადო კრებას. მეც უჩინარად ჩავერიე. კამათი ჰქონდათ სამეგრელოს „ცნობილ“ მასწავლებელთა საგმირო საქმეთა შესახებ. თურმე კრებას გათავებული ჰქონია მსჯელობა და რეზოლიუციის გამოტანა იყო მათ შესახებ. გამოვიდა ერთი დამსწრეთაგანი და ბოხი ხმით დაიწყო აღნუსხვა თვითეულის შესახებ ცალცალკე: 1. სპირიტონ ენუქიძე (ახალ-სენაკში) შესანიშნავია თავისი ლაქიობით უფროსთან, გაწრთვნილია მასწავლებელთა ჩაგვრა-ლღეტაში. 2. ლაბარტყავა (მარტვილში უმაღ. პირ. დაწყებითი სკოლაში) კარგი მოხდენილი განმდევნელია ქართული ენისა შკოლიდან. 3. გოზეჩია (სალხინოში) უშნო მოხუცი არშიცი, ხოლო მასწავლებლობაში კი ძაან სუსტი. 4. ი. ჩუხუა (ქაქვიჯში) პირ ლაქა ადამიანი, გაკვეთილების დროს პალტო-ნაბად-კაბალახიანი მეცადინე შკოლაში, ცნობილი ამხანაგის ლალატში და მის გამორიცხვაში, ერთგული დამცველი და მფარველი თავის სიძისა (განდევნილი მასწავლებლის მაგიერ ჩაყენებულის) მიუხედავად მისი ზედ მეტი სისუსტისა და მოუშაღებლობისა. 5. ევსევი ხოფერია (ძველ სენაკში) ეს კი ყოველივე სიგლახით აღქურვილი—ბრმა მორჩილი გმირი სპირიტონ ენუქიძისა. ცნობილი: მასწავლებლების ლალატში, მოწაფეების გალახვაში. 6. იონა

სეკანია (ოტობიაში) ქართული ენის განმდევნელი შკოლიდან 7. ვანო ფარცვანია (ნაქალაქევეში) ყოველი კულტურული საქმე რაც მის ხელთ იყო შკოლაში თუ გარეთ იმის წამხთენელი. ელვის სისწრაფით ამის შემდგომ ს. ნოქიხევეში „ზაპასად“ წაყვანილთა ოჯახის დიასახლისთა ჩხუბის მოწმე გახვითი. მათზე რაღაც ფარული „რასკლადკის“ ფული მოუთხოვიათ. ბ. ივანე ცხაკაიას გასასტუმრებლათ. ივანეს რგებია ნოჯიხეველებისაგან ასაღლეთათ 500 მანეთი, ვითომ შკოლის საქმის გაკეთებისათვის.

ჩამოვედი სენაკში თუ არა ზემოაღნიშნული ფაქტებით დაინტერესებულმა დავიწყე გაგონილზე მსჯელობა ნაცნობებთან. მე ჭორი მეგონა მასწავლებელთა შესახებ კრებაზე გაგონილი, მაგრამ ყველამ სწორიაო და ამ რიგად დავრწმუნდი რომ ყოველივე იყო სწორი.

ტყაში-მაფა.

წერილი რედაქციის მიმართ.

პასუხათ ბატონ ნოე მგელაძეს.

მედიატორეში მიწვევ...
აბა როგორ გითხრა ვარი,

კულტურული სასამართლოს

მე თვითონ ვარ მათხოვარი,

დროს, რიცხვს რომ თვით დანიშნავდე არ იქნება მგონი ცუდი;

და აგრეთვე გთხოვ მაცნობო

სად იქნება ჩვენი „სული“.

მეც იმ დროს იქ გიახლები

ჩემის მედიატორებით,

მე ჩემს ვიტყვი—თქვენ კი თქვენსას

კულტურულათ გავსწორდებით.

„სულის“ გადაწყვეტილება

თუ არ ვცდები მე მგონია,

რომ გაზეთში გამოცხადდეს

წესია და კანონია.

მშვიდათ შევხდეთ განაჩენსა

წესიერათ თუ გიყვარდე,

გთხოვ გული არ მოიყვანო

გასაგლეჯათ არ მოივარდე.

მასხოვს ერთხელ ერთ „უჩიტელს“

შენზე „აზრში“ დაეწერა,

ამ საქმეზე შენმა ქცევამ

ხომ აცანა გააშტერა.

ხო და, ისე რომ მეძგერო
გამიხეთქო შიშით გული,
„სტრახოვოი ობნესტოვი“
ზურგი არ მაქვს დაზღვეული.

ამის რომ არ მეშინოდეს
მაშინ ვიყო ოჯახ-ქორი,
თუ ისე არ დავამტკიცო
ვით ოთხია, ორჯერ ორი.

ჟ—ნი.

პატ. რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ ჟურნალ „ემ. მათრახის“
მესამე ნომერში მოთავსებულია მოხსენება დ. ონი-
დან „კრიკეშიას“ ფსევდონიმით. დ. ონის საზო-
გადოებამ ჩვეულებისამებრ კვლავ ჩემზედ მოიტანა
იერიში. გთხოვთ უმორჩილესად დაგვიმოწმეთ, რომ
კრიკეშიას ფსევდონიმით მოთავსებული მოხსენება
დ. ონიდან მე არ მეკუთვინს*).

ვლადიმერ მამაგეიშვილი.



„ემშაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს,
რომ უსახელო ავტორებისა და უცნობ პირთა
წერილები ჟურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და
წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწ-
მებდეს ვინმე რედაქციისათვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქა-
ლადის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამ-
ბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოს-
ვლამდე არ გახსნან, საჭიროა კონვერტზე აღრვის
შემდეგ დაეწეროს: „ემშაკის მაორახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და
დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

მიხაკ-დარიჩინს. თქვენ იწერებით: „ჩემ ლექსს
აღბათ სარედაქციო კალათში გააკზავნით, რადგან ამ
საქმეში ძლიერ დახელოვნებული იქნებით“.

მოდო და ნუ იქნები დახელოვნებული, როცა
თქვენი ლექსისთანა ნაწარმოები დღეში ათი-თორ-
მეტი მოგვდის.

*) „ემშაკის მათრახის“ რედაქცია ამოწმებს ბ-
ნ ვ. მამაგეიშვილის განცხადებას.

ი. ჯიმშელიაშვილს. თქვენი „მესთვირული“
ასე თავდება:

„ემშაკო აზა შენ იტი,
გადაუჭირე მათრახი,
აზა შეეშვა მანამდის,
სანამ არ მოგცეს ქანჭაჩა“.

ცხადია მექრთამე ყოფილობარტ და დიდის ხა-
ლისით გავიღებთ რამოდენიმე ქანჭარს, თუ მეგვე-
შეგები და ასეთი მესთვირულებით აღარ შეგვაწუ-
ხებთ.

სვიონაის პირელს.

„გატის სოცვა, გატის ჟღერტა
არ არის საბრალულოა
მეტ ჩამანჩას ხელს წაგვიღებ
იტყვიან საზანდრულოა“.

კიდევ კარგი, თუ ასე სთქვეს „საზანდრულიაო“,
და ნამდვილი სახელი არ უწოდეს თქვენი „ჩამან-
ჩის“ დიდინს.

ანდრო აბაშიძეს. აბა რა ვაუკაცობაა სხვისი
ფსევდონიმით ასეთი აბდა-უბდის წერა? არ დაიბე-
ჭდება.

ვითომ ყრუს. წაიკითხეთ დღევანდელი „ფო-
სტა“.

„ემშაკის მათრახის“ ხელის- მომწერთა საყურადღებოთ:

გთხოვთ ხელის მომწერლებს ჟურნალის ფული
ვისაც არ გადაუხდია ადრე გამოგზავნონ, წინააღმ-
დეგ შემთხვევაში „ემშ. მათრახის“ გზავნა შეუწყ-
დებთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:
Тифлиς, Ольгинская № 6, С. Таварткиладзе.

მიიღება ხალის-მოუწარხ 1916 წლისთვის.

ეოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეუმეაკის მათრახის

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეუმეაკი და თაგუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ თვით 50 კ.

„ეუმეაკის მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოეზაუნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეუმეაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონფერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვავანებთ, რომ

◆ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆